

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ.4) შეტანილ იქნეს
შემდეგი ცვლილებები:

1. 21-ე მუხლის 1² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1². აკადემიური საბჭო რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის
შემთხვევაში ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.“.

2. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რექტორს ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური
საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა
უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი